

## სადაზღვევო რეზერვების ინვესტირება: პრობლემები და პერსპექტივები

ანა დვალი

სტუდ-დოქტორანტი

### რეზიუმე

სადაზღვევო სისტემა საბაზრო ეკონომიკის პირობებში წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური სისტემის აუცილებელ შემადგენელ ელემენტს, რომელიც ხელს უწყობს მის სრულყოფილ ფუნქციონირებას და განვითარებას. განსაკუთრებით თანამედროვე პირობებში, ფინანსური მომსახურების სახეობები სადაზღვევო სისტემასთან ერთად ქმნის აუცილებელ საფუძველს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის.

სადაზღვევო სისტემა, სხვა ინსტიტუტებთან ერთად, უზრუნველყოფს ეკონომიკური განვითარების სტაბილურობას და ხელს უწყობს წარმოების განვითარებას.

მსოფლიო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ კაპიტალის ბაზარზე ძირითად ინსტიტუციურ ინვესტორებს შორის წარმოდგენილია სადაზღვევო ორგანიზაციები, რომლებიც ფინანსური რესურსების მნიშვნელოვან აკუმულირებას ახდენენ. სადაზღვევო ინდუსტრია ერთ-ერთი წამყვანი სექტორია ეკონომიკური განვითარებისათვის. სადაზღვევო კომპანიების მიერ ფინანსური რესურსების მობილიზება და შემდგომ მათი გარდაქმნა ინვესტიციებად, სადაზღვევო სექტორს აქცევს მნიშვნელოვან ფინანსურ წყაროდ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

**საკვანძო სიტყვები:** სადაზღვევო სისტემა, სადაზღვევო რეზერვები, ინსტიტუციური ინვესტორები, ინვესტიციების განხორციელება, საინვესტიციო პორტფელი.

### INVESTMENT OF INSURANCE RESERVES: PROBLEMS AND PERSPECTIVES

Ana Dvali  
PhD student

### SUMMARY

The insurance system is the important component of the economic system, which promotes its perfect functionality and development. The types of financial services together with the insurance system create the necessary basis for the economic development of the country.

The insurance system ensures the stability of economic development and contributes to the development of production.

The main institutional investors in the capital mar-

ket are insurance companies. The insurance industry is one of the leading sectors for economic development. Resource mobilization of insurance companies turns the insurance sector into an important financial source in the development of the country's economy.

**Keywords:** insurance system, insurance reserves, institutional investors, making investments, investment portfolio.

\* \* \* \*

სადაზღვევო ორგანიზაციები სადაზღვევო მომსახურების შეთავაზებით და სადაზღვევო პრემიების მოზიდვით, ახორციელებენ ფულად საშუალებათა მიმოქცევას კაპიტალის ბაზარზე. მიღებული სადაზღვევო შენატანები არის ფულის დაგროვების ერთ-ერთი წყარო. მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში აკუმულირებული ფონდების სიდიდის მიხედვით დაზღვევა ცდილობს კონკურენცია გაუწიოს საბანკო სექტორს. თუმცა, საბანკო სექტორი გაცილებით მეტ ფულად სახსრებს იზიდავს დეპოზიტების სახით. მაგალითად, 2017 წელს ამერიკის სადაზღვევო კომპანიებმა ჯამში მოიზიდეს 1.2 ტრილიონი დოლარი სადაზღვევო პრემიების საშუალებით, საიდანაც 52% იყო ჯანმრთელობის დაზღვევიდან.<sup>1</sup> ამავე წელს, საბანკო სისტემაში მოიზიდა 13.4 ტრილიონი დოლარი დეპოზიტების სახით.<sup>2</sup>

სადაზღვევო რეზერვები ეკონომიკაში სადაზღვევო კომპანიებისთვის ინვესტიციის მნიშვნელოვანი წყაროა. მზღვეველთა დროებით თავისუფალ საშუალებათა აუცილებელი ინვესტირება გამომდინარეობს დაზღვევის ბუნებიდან. მზღვეველები გარდაქმნიან პასიურ ფულად ნაკადს აქტიურ კაპიტალად და ბანკებთან ერთად ხდებიან მსხვილი საინვესტიციო კაპიტალის წყარო.

ფინანსური წყაროების აკუმულირების უნარი და მათი წარმართვა ეკონომიკის განვითარებისთვის სადაზღვევო ორგანიზაციებს მსხვილ ინვესტორებად გარდაქმნის. სადაზღვევო კომპანიები იყენებენ შესაძლებლობებს მიიღონ დამატებითი საშუალებები და შემოსავლები დროებით თავისუფალი ფინანსური რესურსების ინვესტიციით. მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში დაზღვევა ეკონომიკის სტრატეგიული სექტორია.

სადაზღვევო კომპანიები გვევლინებიან ინსტი-

1 <https://www.iii.org/fact-statistic/facts-statistics-industry-overview>

2 [https://ycharts.com/indicators/us\\_banks\\_total\\_deposits](https://ycharts.com/indicators/us_banks_total_deposits)

ტუციონალურ ინვესტირებად და ახდენენ მნიშვნელოვნად დიდი ფინანსური რესურსების აკუმულირებას, ამიტომაც სადაზღვევო სექტორი დიდად მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის. სადაზღვევო კომპანიების საინვესტიციო პოლიტიკა უნდა უზრუნველყოფდეს, უპირველეს ყოვლისა, მის ფინანსურ მდგრადობას, რადგან ზარალის ანაზღაურების ვალდებულების დაფარვა შეძლოს. ამერიკის სადაზღვევო სექტორისათვის ინვესტიციების განხორციელებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. წლიური მოგება დამოკიდებულია არა პირდაპირ სადაზღვევო ოპერაციებზე, არამედ ინვესტიციებზე. აღსანიშნავია, რომ დიდი საინვესტიციო რესურსები გადააქცევენ სადაზღვევო კომპანიებს ერთ-ერთ გავლენიან ფინანსურ ცენტრად.

სადაზღვევო რეზერვები წარმოადგენს ქვეყანაში ინვესტიციების განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს. სადაზღვევო რეზერვების მნიშვნელობა ინვესტიციების განხორციელების კუთხით განვიხილოთ დეპოზიტების დაზღვევის ფონდის მაგალითზე.

2017 წლის მაისში, საქართველოში გამოიცა **კანონი დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ**. ამ კანონის მიზნების განხორციელებისათვის შეიქმნა დამოუკიდებელი სსიპ - **დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო**. დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ფუნქციონირების მიზნით, საქართველოში მოქმედი ყველა კომერციული ბანკი იხდის სადაზღვევო პრემიას - ყოველთვიურ რეგულარულ შენატანს, რომელიც მიემართება დეპოზიტების დაზღვევის ფონდში.

**დეპოზიტების დაზღვევის ფონდში** არსებულ თანხებს დადგენილი საინვესტიციო პოლიტიკის შესაბამისად მართავს დეპოზიტების დაზღვევის საა-

გენტო, ასევე უფლებამოსილია სამართავად გადასცეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს ან ეროვნულ ბანკს. საინვესტიციო პოლიტიკა ეფუძნება კანონით გათვალისწინებულ პრინციპებს, რომლის მიხედვითაც თანხების ინვესტირება ხდება ურისკო აქტივებში, ფონდის დაცულობისა და ლიკვიდურობის შენარჩუნების მიზნით. სააგენტო ფონდის რესურსების ინვესტირებას ახორციელებს დივერსიფიკაციის, უსაფრთხოებისა და ლიკვიდურობის პრინციპების შესაბამისად, რისკის ადეკვატური მართვისა და შიდა კონტროლის უზრუნველყოფით. ფონდის რესურსების ინვესტირება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ შემდეგ დაბალრიკიან აქტივებში:

- საქართველოს მთავრობის, საქართველოს ეროვნული ბანკის, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციის მიერ გამოშვებული, ლარით დენომირებული სავალო ფასიანი ქაღალდები;

- საქართველოს ეროვნული ბანკის დეპოზიტები;


- ევროპის ცენტრალური ბანკის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების, ევროკავშირის სუპრანაციონალური სააგენტოების მიერ გამოშვებული, ფიქსირებული შემოსავლის მქონე ფასიანი ქაღალდები და სავალო ინსტრუმენტები.

ინვესტირებით მიღებული მოგება ირიცხება ასევე ფონდის ანგარიშზე.

ინვესტიციების მაქსიმალური რაოდენობა განხორციელდა 2018 წლის ივნისში, მინიმალური კი სექტემბერში. გრაფიკზე გამოსახულია, თუ რა მოცულობით ახორციელებს ინვესტიციებს დეპოზიტების დაზღვევის ფონდი. როგორც ვხედავთ, დაზღვევის ფონდის ფინანსური რესურსების მნიშ-

გრაფიკი 1. 2018 წელს სახაზინო ფასიან ქაღალდებში განხორციელებული ინვესტიციები

წყარო: <http://diagency.ge/ka>



ენელოვანი წყაროა ქვეყანაში განხორციელებული ინვესტიციებისათვის.

დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ გამოცხადებული ოფიციალური მონაცემების მიხედვით, სააგენტო აქტიურად და რეგულარულად ახორციელებს ინვესტიციებს. მაგალითისთვის განვიხილოთ უახლესი ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, სააგენტომ 2018 წლის 14 ნოემბერს მონაწილეობა მიიღო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ფასიანი ქაღალდების აუქციონში. სააგენტომ 20 598,59 ლარის, 772 609,33 და 1 030 300,12 ლარის ოდენობის ინვესტიცია განახორციელა 2 წლის ვადიანობის ბენჩმარქ ობლიგაციებში (ბაზისური სახელმწიფო ობლიგაცია), რომელთა შემოსავლიანობის განაკვეთი შესაბამისად 7,214%, 7,200% და 7,190%-ია. აღნიშნული ფასიანი ქაღალდების დაფარვის თარიღია 2020 წლის 12 ივლისი.<sup>3</sup>

სააგენტოს საინვესტიციო პოლიტიკის შესახებ დოკუმენტის მიხედვით, ფონდის რესურსის დაბანდება განხორციელდება შემდეგი ლიმიტების ფარგლებში:

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული სავალო ინსტრუმენტები - არა უმეტეს 75%-სა;

- ECB, OECD და EU წევრების მიერ გამოშვებული სავალო ინსტრუმენტები - არაუმეტეს 25% -სა.

მთლიანი საინვესტიციო პორტფელის ვადიანობამ უნდა შეადგინოს არაუმეტეს 24 თვისა.

მოცემულ გრაფიკში მითითებულია 2018 წელს სახაზინო ფასიან ქაღალდებში განხორციელებული ინვესტიციები.

სადაზღვევო კომპანიების მიერ აკუმულირებული ფულადი რესურსები ინვესტირების მნიშვნელოვანი წყაროა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. მაგალითად, ამერიკის სადაზღვევო სექტორისათვის ინვესტიციების განხორციელებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. წლიური მოგება დამოკიდებულია არა პირდაპირ სადაზღვევო ოპერაციებზე, არამედ ინვესტიციებზე. აღსანიშნავია, რომ დიდი საინვესტიციო რესურსები გადააქცევს სადაზღვევო კომპანიებს ერთ-ერთ გავლენიან ფინანსურ ცენტრად.

### დასკვნა

- სადაზღვევო რეზერვები ეკონომიკაში სადაზღვევო კომპანიებისთვის ინვესტიციის მნიშვნელოვანი წყაროა. მზღვეველთა დროებით თავისუფალ საშუალებათა აუცილებელი ინვესტირება გამომდინარეობს დაზღვევის ბუნებიდან. მზღვევე-

ლები გარდაქმნიან პასიურ ფულად ნაკადს აქტიურ კაპიტალად და ბანკებთან ერთად ხდებიან მსხვილი საინვესტიციო კაპიტალის წყარო.

- სადაზღვევო კომპანიები გვევლინებიან ინსტიტუციონალურ ინვესტორებად და ახდენენ მნიშვნელოვან დიდი ფინანსური რესურსების აკუმულირებას, ამიტომაც სადაზღვევო სექტორი დიდად მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის.

- დაზღვევა განიხილება სპეციალისტების მიერ, როგორც ქვეყანაში წარმოების აუცილებელი ნაწილი. დაზღვევა უზრუნველყოფს საერთო ეროვნული ეკონომიკის უწყვეტ და ბალანსირებულ ფუნქციონირებას დროსა და სივრცეში.

- სადაზღვევო რეზერვების განთავსება და ინვესტირება უნდა მოხდეს აქტივების დივერსიფიკაციის, დაბრუნებადობის, მომგებიანობისა და ლიკვიდურობის პრინციპების საფუძველზე.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ, 1997წ.
2. საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის ბრძანება №14, სადაზღვევო რეზერვების განთავსებისა და ინვესტირების წესის დამტკიცების თაობაზე, 2009 წლის 20 იანვარი.
3. საქართველოს კანონი არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ, 1998 წ.
4. ვერულავა თ. „სადაზღვევო საქმის საფუძვლები“. ჯანდაცვის პოლიტიკისა და დაზღვევის ცენტრი, თბილისი, (2017).
5. ვერულავა თ., ელიაშვილი თ. „სადაზღვევო კომპანიების, როგორც საქართველოს ეკონომიკის ინვესტირების წყაროს გამოყენების პერსპექტივები“. ჯანდაცვის პოლიტიკა და დაზღვევა, №1 (2015).
6. სიჭინავა ა., ვეშაპიძე შ., ჯოლია გ., სეხნიაშვილი დ., ჩიკვილაძე ნ., კვარაცხელია ლ., ქირია ვ., ჭიკაიძე ნ., მენაბდე-ჯობაძე ე., ყურაშვილი გ., კიკვაძე ტ., შენგელია რ., კაიშაური თ., აბუაშვილი თ., როსტიაშვილი თ. „ეკონომიკური კვლევის მეთოდები“. თბილისი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. 2014. 371გვ.
7. საქართველოში დეპოზიტების დაზღვევის სისტემის დანერგვის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, 2017წ.;
8. საქართველოს კანონი „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“, 2017წ.;
9. დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს 2017-18 წლების საინვესტიციო გეგმა.

3 <http://diagency.ge>